დამტკიცებულია „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“
რექტორის მიერ

დავით ტვილდიანის
სამედიცინო უნივერსიტეტი

სტუდენტთა ეთიკის კოდექსი

თბილისი, 2014

1. **სტუდენტი.**
   1.1 ამ კოდექსის მიზნებისთვის სტუდენტი არის პირი, რომელიც სწავლობს დავით ტვილდიანის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი).
   1.2 ეთიკის კოდექსი ადგენს ქცევის ნორმებსა და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებულ წესებს.

2. **ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპები.**
   2.1 თანასწორუფლებიანობა – ყველა სტუდენტი თანასწორუფლებიანია განურჩევლად რასის, სქესის, რელიგიური მრწამსის, პოლიტიკური შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობისა;
   2.2 სამართლიანობა – უნივერსიტეტის ყველა სტუდენტის მიმართ თანაბრად ვრცელდება უნივერსიტეტში დადგენილი წესები;
   2.3 ურთიერთპატივისცემა – ურთიერთობა უნივერსიტეტის სუბიექტებს შორის ემყარება ურთიერთპატივისცემას, კორექტულობას, თავაზიანობას;
   2.4 აკადემიური თავისუფლება და კეთილსინდისიერება - სტუდენტი თავისუფალია აკადემიური, კვლევითი პროგრამის და, შესაბამის შემთხვევაში, ცალკეული დისციპლინის არჩევანაში (უმაღლეს სასწავლებელში არსებული რესურსების ფარგლებში).
   2.5 სტუდენტი აღიარებს სასწავლებლის უფლებას, ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, განხილულ იქნას მისი დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი და, ამასთან, იღებს ვალდებულებას, შეასრულოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

3. **სტუდენტი ვალდებულია:**
   3.1 ადმინისტრაციულ, აკადემიურ და დამხმარე პერსონალს მიმართოს პატივისცემით:
   3.2 დაიცვას საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები და პატივი სცეს სხვა სტუდენტებს მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და ფიზიკური ნაკლისა.
   3.3 ხელი არ შეუშალოს პედაგოგს სალექციო/პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებაში. მეცადინეობაზე დაუშვებელია: გადალაპარაკება, რეპლიკა, წამოძახილი, რაიმე სხვა (რაც არ არის დაკავშირებული იმ დროს მიმდინარე ლექციასა ან პრაქტიკულ მეცადინეობასთან დაკავშირებული) საქმით დაკავება.
   3.4 სტუდენტი ვალდებულია ლექცია/პრაქტიკუმზე და გამოცდაზე გამოცხადდეს დროულად, ხოლო, ლექცია/პრაქტიკუმზე დაგვიანების შემთხვევაში, დაელოდოს მეცადინეობის დამთავრებას და შემდეგ შევიდეს აუდიტორიაში.
   3.5 სტუდენტი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტში დადგენილი “სტუდენტთა ჩაცმულობის სავალდებულო ნორმა”.

3.6 შეეცადოს საფუძვლიანად დაეუფლოს არჩეულ სპეციალობაში თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ ჩვევებს და კვლევის თანამედროვე მეთოდებს.

4. აკადემიურ პროცესებთან დაკავშირებული წესები.

4.1 სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება აკადემიური სიყალბე, კერძოდ, სტუდენტს არ აქვს უფლება:

4.1.1 პირადი სარგებელის სანაცვლოდ სხვა სტუდენტებს, ადმინისტრაციული ან აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს შესთავაზოს საჩუქარი ან თანხა.

4.1.2 გამოცდების დროს გადაიწეროს სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან ან გამოიყენოს რაიმე სხვა დამხმარე მასალა (წიგნები, კონსპექტები, ტელეფონი და სხვა ტექნიკური საშუალებები, ერთმანეთთან საუბარი და სხვა) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ლექტორის ნებართვა ამა თუ იმ დამხმარე მასალის გამოყენების თაობაზე.

4.1.3 სხვა სტუდენტის მაგივრად ჩააბაროს გამოცდა ან სთხოვოს სხვა პიროვნებას, მის მაგივრად გამოცდის ჩაბარება.

4.1.4 გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის ან მასალის მოპოვების, ან სხვის მიერ მოპოვებული მასალის გამოყენებისა;

4.1.5 სხვა პიროვნების ნამუშევარი წარმოაჩინოს, როგორც საკუთარი, ან/და რომელიმე ავტორის ციტატა ან გამონათქვამი გამოიყენოს საკუთარ ნამუშევარში წყაროს მითითების გარეშე (პლაგიატიზმი). ამასთან, სტუდენტი კვლევის პროცესში ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის კვლევის ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ნორმებით.

4.1.6 გააყალბოს სასწავლო მონაცემები (მაგალითად, მიღებული ნიშნები) ან/და კვლევითი სამუშაოების დროს გამოიგონოს ან გააყალბოს ფაქტობრივი ინფორმაცია ან რაიმე სახის მონაცემები.

4.1.7 მოიპაროს, გაანადგუროს ან შეცვალოს სხვა სტუდენტის ნამუშევარი ან/და ხელი შეუშალოს სხვა სტუდენტებისს სასწავლო და საკვლევ პროცესს საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით.

4.1.8 ხელი შეუწყოს სხვა სტუდენტს აკადემიურ სიყალბეში (გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, სხვა პირის ნამუშევრის საკუთრად წარმოჩენა, კვლევითი სამუშაოების ინფორმაციის გაყალბება, პლაგიატიზმი).

5. სანქციები.

5.1 აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესების დაღვევისათვის:

5.2 სტუდენტს შეიძლება მიეცეს ზეპირი გაფრთხილება/საყვედური;

5.3 სტუდენტმა შეიძლება მიიღოს წერილობითი გაფრთხილება/საყვედური პირად საქმეში შეტანით;

5.4 სტუდენტს შეიძლება შეუჩერდეს სასწავლებელში ლექცია/პრაქტიკუმებზე დასწრების უფლება;

5.5 სტუდენტს შეიძლება შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი.

5.6 სტუდენტს შეიძლება შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი.

6. პასუხისმგებლობის ზომები.

6.1 ეთიკის კოდექსის 4. პუნქტის 4.1.1. ქვეპუნტქტით გათვალისწინებული ქმედების გამოვლენისას:

6.1.1 პირველ ჯერზე სტუდენტს მიეცემა ზეპირი გაფრთხილება/საყვედური;

6.1.2 განმეორებით შემთხვევაში წერილობითი გაფრთხილება/საყვედური პირად საქმეში შეტანით. რექტორის საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება გამოყენებული იქნას სანქციის უფრო მკაცრი ზომა - ლექცია/პრაქტიკუმებზე დასწრების უფლების შეზღუდვა გარკვეული ვადით.

6.1.3 მესამე და მეტი შემთხვევის გამოვლენის შემთხვევაში, რა ვადაც არ უნდა იყოს გასული წინა შემთხვევის გამოვლენიდან, სტუდენტს შეიძლება შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი.

6.2 ეთიკის კოდექსის 4. პუნქტის 4.1.2.-4.1.4. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების გამოვლენისას:

6.2.1 პირველ ჯერზე სტუდენტს მიეცემა ზეპირი გაფრთხილება/საყვედური;

6.2.2 განმეორებით შემთხვევაში, წერილობითი გაფრთხილება/საყვედური პირად საქმეში შეტანით;

6.2.3 მესამე შემთხვევის გამოვლენის შემთხვევაში, რა პერიოდიც არ უნდა იყოს გასული წინა სანქციის გამოყენებიდან, სტუდნეტი მოიხსნება გამოცდიდან.

6.3 ეთიკის კოდექსის 4. პუნქტის 4.1.5.-4.1.6. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებების გამოვლენისას:

6.3.1 სტუდენტს პირველ ჯერზე მიეცემა ზეპირი გაფრთხილება/საყვედური;

6.3.2 განმეორებით შემთხვევაში, წერილობითი გაფრთხილება/საყვედური პირად საქმეში შეტანით;

6.3.3 მესამე და მეტი შემთხვევის გამოვლენისას კონკრეტული შემთხვევის სიმძიმისა და მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, სტუდენტს შეიძლება შეეზღუდოს გარკვეული ვადით ლექცია/პრაქტიკუმზე დასწრების უფლება, ხოლო, უკიდურეს შემთხვევაში, შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი.

6.4 ეთიკის კოდექსის 4. პუნქტის 4.1.7.-4.1.8. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების გამოვლენისას:

6.4.1 პირველ ჯერზე სტუდენტს მიეცემა ზეპირი გაფრთხილება/საყვედური;

6.4.2 განმეორებით შემთხევაში, წერილობითი გაფრთხილება/საყვედური პირად საქმეში შეტანით;

6.4.3. მესამე და მეტი შემთხვევისათვის, რა პერიოდიც არ უნდა იყოს გასული წინა სანქციის გამოყენებიდან, სტუდენტს შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი გარკვეული ვადით ან, შემთხვევის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით, შეუწყდება და შესაბამისი შეტყობინება გადაცემა სამართალდამცავ ორგანოებს.

7. სანქციის შეფარდებაზე და ზომის განსაზღვრაზე უფელბამოსილი ორგანო

7.1 ეთიკის კოდექსის ნორმათა დარღვევის შესახებ საკითხის განხილვა შეიძლება დაიწყოს თავად სტუდენტის, სტუდენტური თვითმმართველობის წევრის, უნივერსიტეტის პედაგოგის, აკადემიური ან ადმინიასტრაციული თანამდებობის მქონე პირის განცხადების საფუძველზე.

7.2 სტუდენტთა მიერ ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევის საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.

7.3 პირი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინარული წარმოება, უფლებამოსილია დაესწროს განხილვას, მისცეს ახსნა–განმარტება მომხდარ

ფაქტთან დაკავშირებით, წარადგინოს გამამართლებელი მტკიცებულებები და მიმართოს რექტორს განცხადებით, სანქციის არ გამოყენების ან შემსუბუქების მიზნით.